



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო
უნივერსიტეტი

აკადემიური წლის ანგარიში

2016 -2017 აკადემიური წელი



შინაარსი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი _____	3
სამართლის ფაკულტეტი _____	5
ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტი _____	8
საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური _____	9
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური _____	12
ბიბლიოთეკა _____	15
იურიდიული სამსახური _____	17
საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური _____	19



ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების ანგარიშის ნაწილში აღსანიშნავია, რომ შესრულდა ყველა დასახული მიზანი. კერძოდ,

მიმდინარე წელს უნივერსიტეტში მოვიდა პირველი ნაკადი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე;

მიმდინარე წელი ნაყოფიერი იყო სხვადასხვა ღონისძიებებით, განსაკუთრებით აქტიურობდა სტუდენტ თეოლოგთა კლუბი, რომელმაც დაგეგმა და გამართა სემინარები და საჯარო ლექციები თემებზე: „როგორ გვესმის მოწყალეობა დღეს?“ (11 მარტი, 1 აპრილი, 8 აპრილი, 6 მაისი, 20 მაისი, 31 მაისი);

გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში, მიმდინარე წლის 22 იანვარს ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა დაცვის საკითხები“;

მოეწყო ინტერდისციპლინარული სემინარი თემაზე „სამონასტრო ცხოვრება დასავლეთსა და აღმოსავლეთში. კულტურული ზეგავლენა, სულიერება, სულთმოდღვრობა და ერთიანობის დინამიზმი დღევანდელი მსოფლიოსათვის“;

განხორციელდა პროგრამების კომპონენტების შინაარსის დახვეწა. მოხდა კონკრეტული კომპონენტების გაუქმება და ახალი კომპონენტების შემუშავება; განხორციელდა საბიბლიოთეკო ფონდის შევსება-განახლება;

განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და მონიტორინგი;

უცხოეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში მოწვეულ იქნენ სპეციალისტები ლექციების წასაკითხად და სემინარებისა და ტრენინგების ჩასატარებლად;

ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა სტუდენტების მოთხოვნების, მოლოდინებისა და დამოკიდებულების შესწავლა და ანალიზი; ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების და სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;



ჩატარდა მონიტორინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობის ხარისხის შესახებ;

განხორციელდა სტუდენტური ღონისძიებები, კერძოდ თეოლოგიური ბანაკი თეთრიწყაროში (ივლისი) და ბიბლიის საზაფხულო სკოლა (11-17 ივლისი);

გაიმართა შეხვედრები ტოლერანტობისა და საკაცობრიო ღირებულებების საკითხებზე; ექსკურსიები მუზეუმებში, სტუდენტებმა მოინახულეს ისტორიული ძეგლები;

ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია (28.03-03.04. 2016);

მოეწყო სპორტული, კულტურული, შემეცნებითი და სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებები სტუდენტების მონაწილეობით.



სამართლის ფაკულტეტი

2016-2017 სასწავლო წლის მიმდინარეობა სამართლის ფაკულტეტის დეკანის მიერ დადებითად შეფასდა.

სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა. სწორად დაიგეგმა ლექტორების საათობრივი დატვირთვა, სექტემბრის თვეში ადმინისტრაცია აქტიურად დაეხმარა სტუდენტებს სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის პროცესში. სალექციო პროცესები გეგმიურად მიმდინარეობდა. რამდენიმე ლექტორის მხრიდან დროულად არ მოხდა სტუდენტების შეფასებების ასახვა, სამართლის ფაკულტეტის კოორდინაციით ეს პრობლემა აღმოიფხვრა.

საშემოდგომო სემესტრზე ფაკულტეტი მიმართული იყო სხვადასხვა სახის ღონისძიებებში ჩაერთო სტუდენტები. ნოემბრის თვეში დაიგეგმა სასწავლო ვიზიტი საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებმა დაათვალიერეს სასამართლო შენობა, მართლმსაჯულების მუზეუმი და სხდომის დარბაზები. ასევე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარესთან. ნინო ხოფერიამ სტუდენტებს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და სასწავლო ცენტრში სტაჟირების პროგრამა გააცნო სტუდენტებს.

ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით აქტიურად მიდიოდა საჯარო ლექციათა ციკლი სხვადასხვა მოწვეული სპიკერების მიერ. სტუდენტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის მრჩევლის, სალომე ნატროშვილის საინფორმაციო შეხვედრამ თემაზე: სამართალშემოქმედების პრაქტიკული ასპექტები.

5-10 დეკემბერს სამართლის ფაკულტეტი აქტიურად იყო ჩართული ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულში: 5 დეკემბერს სტუდენტებმა მოაწყვეს ფოტოგამოფენა, 6 დეკემბერს არინა თავაქარაშვილის მიერ ჩატარდა მოხსენება თემაზე „თავისუფლება და ოკუპაციით დაზარალებული სოფლები“, ასევე დაიგეგმა ვიზიტი საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში.



სამართლის სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულები უნივერსიტეტთაშორის შეჯიბრებებში. მათ წარმატებით იასპარეხეს შეჯიბრში „იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) თემაზე“, რომელიც ნოემბერი-დეკემბრის თვეში მიმდინარეობდა.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მხარდაჭერითა და სტუდენტების ორგანიზებით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში.

სამართლის ფაკულტეტი აქტიურად იყო ჩართული, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ცნობადობის გასაზრდელად კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვაში. ამისთვის ნოემბერი-დეკემბრის პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა სკოლებში ვიზიტები და პრეზენტაციების ჩატარება. მოსწავლეების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბავშვთა უფლებებზე სალექციო კურსის ჩატარებამ. ფაკულტეტი სამომავლოდაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს სკოლებთან აქტიურ თანამშრომლობას.

საშემოდგომო სემესტრი საკმაოდ დატვირთული იყო უცხოელი პროფესორების ვიზიტით. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამერიკელი პროფესორის, დილენ სვენსონის ვიზიტი საბაუნში და მასტერკლასის ჩატარება „ამბის თხრობის ხელოვნებაზე იურისტებისთვის“, რომელიც ჩატარდა სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის.

აქტიურად მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურთან გაცვლითი პროგრამებისა და თანამშრომლობის დეტალებზე. ოქტომბერში ლიონის უნივერსიტეტის დელეგაციამ უმასპინძლა საბაუნის. ნოემბრის თვეში საბაუნის წარმომადგენლობამ, Erasmus + პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო კიევში განხორციელებულ პროექტში. ფაკულტეტის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო erasmus + პროგრამის ფარგლებში სტუდენტების გაგზავნა ლუბლინის კათოლიკურ უნივერსიტეტში, 1 სემესტრით სასწავლებლად. აღნიშნულ უნივერსიტეტებთან იგეგმება სამომავლო თანამშრომლობა.

საგაზაფხულო სემესტრში ფაკულტეტი აქტიურად იყო ჩართული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების შედგენაში. სამართლის სამაგისტრო პროგრამისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, რომლის საფუძველზეც, სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები პრაქტიკებს გაივლიან და ამით კრედიტი მიენიჭებათ. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებთანაც გააფორმოს მემორანდუმი.

სამართლის ფაკულტეტი აქტიურად აგრძელებდა სასწავლო ვიზიტების დაგეგმვას: მნიშვნელოვანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ვიზიტი თებერვლის თვეში, სადაც სტუდენტებმა დაათვალიერეს საარქივო მასალები, არქივის გამოცემები და მონოგრაფიები და იხილეს დოკუმენტური. მაისის თვეში სტუდენტები ეწვივნენ სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“. მარტში დაიგეგმა შეხვედრა იუსტიციის სახლში, სადაც სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია იუსტიციის სახლის მომსახურებასთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის დეკან, ზვიად როგავასთან და პროფესორ გიორგი გორამესთან ერთად სტუდენტები ეწვივნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. სამართლის ფაკულტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სამომავლოდაც დაგეგმოს მსგავსი ღონისძიებები სტუდენტების მოტივაციის გაზრდის მიზნით.

სამართლის ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი იყო მარტის თვეში პოლონელი პროფესორების ვიზიტი, რომლებმაც მასტერკლასები ჩაუტარეს სტუდენტებს. დასწრება ღია იყო სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვისაც. პროფესორი Malgorzata Wasek-Wiaderek შეხვდა საბაუნის პროფესორ ბესიკ მეურმიშვილს, მათ გაცვალეს ინფორმაციები და დასახეს სამომავლო ერთობლივი პროექტების ფარგლებში თანამშრომლობის გეგმები. სამართლის ფაკულტეტის დეკანი ცდილობს სამომავლოდ იმუშაოს აკადემიური პერსონალის ჩართულობაზე მობილობაში.

ფაკულტეტის საგაზაფხულო სემესტრის მნიშვნელოვანი მიღწევაა, ასოცირებული პროფესორის დიმიტრი გეგენავას მიერ სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება რთულ შემთხვევებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სამართლის მაგისტრატურის სტუდენტები და წარადგინეს მსოფლიო სამართლის პრაქტიკის რთული შემთხვევების ანალიზი. სტუდენტური კონფერენციებზე მეტი ყურადღების დათმობა იგეგმება სამომავლოდ.



ბიზნესისადატურიზმისფაკულტეტი

2016-2017 წწ. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედებდა ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამები. პროგრამების წარმატებით განხორციელებისა და სწავლის პროცესში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის მიზნით გაიმართა ფაკულტეტის საბჭოს 9 სხდომა, სადაც განხილული იყო პროგრამების მოდიფიცირების საკითხები, კერძოდ.

- პროგრამები და სილაბუსები მოდიფიცირდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3-ის მიხედვით, განხორციელდა შეფასების სისტემასთან და სწავლა-სწავლების მეთოდთან დაკავშირებული ცვლილებები
- ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას დაემატა რიგი არჩევითი სასწავლო კურსები, ასევე ძირითადი სპეციალობის არჩევით კომპონენტს დაემატა საბაკალავრო ნაშრომი;
- პროგრამის სასწავლო კურსებს გაეზარდა დამოუკიდებელი მუშაობის საათები და კრედიტების მოცულობად განესაზღვრა - 6.
- განხორციელდა რიგი ცვლილებებისა, როგორც სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების თანაფარდობაში;
- გადაიხედა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, ასევე სასწავლო კურსების წინაპირობები.
- აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას 2017 წელს ჰყავს 21 კურსდამთავრებული.

2017 წელს ფაკულტეტზე შემუშავდა და დამტკიცდა ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და გაიარე ავტორიზაცია 2017 წლის 3 ივლისს. შეიქმნა ამავე პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლის მიღებასთან დაკავშირებით საგამოცდო და სააპელაციო კომისიები, და დამტკიცდა შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები.

2017 წელს ფაკულტეტზე შემუშავდა და დამტკიცდა ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურ ენოვანი საბაკალავრო პროგრამა.



საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

2016-2017 წლის დასაწყისში საბაუნის ესტუმრა ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტის დელეგაცია, რომელსაც წარმოადგენდნენ, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, ფრანკ ოლივიე, პრორექტორი მარკ ოლივიე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი, ივან ლალან ბერდუტივი. ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ადმინისტრაციის წევრებთან, სადაც ორმხრივი სურვილი გამოითქვა თანამშრომლობის გაღრმავებისა. ამავე ვიზიტის ფარგლებში მარკ ოლივიემ წაიკითხა საჯარო ლექცია ფრანგულ სეკულარიზმზე.

8 სექტემბერს გაიმართა კვლევისა და ინოვაციების ცენტრის „ორბის“ პრეზენტაცია.

ჩვენი პროფესორებისა და პერსონალის მობილობა/მივლინება უცხოეთში: (სულ 11 მობილობა)

1. 2017 წლის იანვარში საბაუნის დელეგაცია (ვაჟა ვარდიძე, ირაკლიცხადაძე, ვოვა სახელაშვილი -სტუმრობდნენ რომის სოფიას უნივერსიტეტს).
2. 12-13 მაისი, საბაუნის რექტორმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „Hope in the Future, The Experiences of Youth under Communism, the Transition to Democracy and the Present“ (ხორვატია, ზაგრები).
3. 8-15 ივლისს, საბაუნის რექტორი, ვაჟა ვარდიძე და კანცლერი ვოვა სახელაშვილი მივლინებით იმყოფებოდნენ ნოტრ დამის უნივერსიტეტში, ნანოვიჩის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე „ლიდერობა“ (აშშ).
4. გიორგი გობრონიძე, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი -ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი, აკადემიური მობილობა (Erasmus+ KA107, ICM).
5. ვოვა სახელაშვილი, კანცლერი --ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული მობილობა (Erasmus+ KA107, ICM).
6. გიორგი ჯამბურია - ლუბლინის მეწარმეობისა და ადმინისტრირების საუნივერსიტეტო კოლეჯი, ადმინისტრაციის მობილობა (Erasmus+ KA107, ICM)



7. გვანცა აბდალაძე - პროექტის საორიენტაციო შეხვედრა, მასარიკის უნივერსიტეტი (ბრნო, ჩეხეთი) Erasmus+ KA2 , STAR.
8. ირაკლი ცხადაძე, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი - პროექტის საორიენტაციო შეხვედრა, მასარიკის უნივერსიტეტი (ბრნო, ჩეხეთი) Erasmus+ KA2 , STAR.

უცხოელი პროფესორების ვიზიტები და საჯარო ლექციები: (სულ 7 მოხილობა)

1. 8 ოქტომბერი, მარკ ოლივიე, ფრანგული სეკულარიზმი (ლიონის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში).
2. 6 დეკემბერს გაიმართა ამერიკელი პროფესორის, (ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის (KUL) პროფესორის, დილაინ სვენსონის საჯარო ლექცია „ადამიანის უფლებების და კონსტიტუცია“).
3. 30 მარტი- 5 აპრილი - მალგორჟატა ვასეკ-დიადოროვი, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი (გაცვლითი პროგრამა).
4. 1-4 მაისი, იოანა კონეცკა, პოლონური სამართლის სისტემა და EU ნორმათა რეგულაციები, ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი (გაცვლითი პროგრამა)
5. 23 მაისი - ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე პრეზიდენტი, ვალბურგა ჰაბსბურგ დუგლასი და საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანია, გაბრიელა ფონ ჰაბსბურგის საჯარო ლექცია „ევროკავშირის პოლიტიკა აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში“ .
6. მარჩინ ბურჟე - აკადემიური პერსონალი, ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი, **Erasmus+ KA107 ICM**
7. ჟისლავ ჩიესკოვსკი - ადმინისტრაციის მოხილობა, -ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, **Erasmus+ KA107 ICM**

Erasmus+ KA107 ICM

- 3 პერსონალის მოხილობა.
- ვუმასპინძლეთ 2 პერსონალის მოხილობას:
- 2 სტუდენტის მოხილობა:

ხატია გელაშვილი -სამართლის საბაკალავრო პროგრამა - ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი.

ზურა დარცმელია - სამართლის საბაკალავრო პროგრამა --ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი.



ამავე წელს დაფინანსდა Erasmus+ KA2 CBHE პროექტი “STA” Sustainable Learner Centered Teaching Advanced Recourses for Georgia and China. რომელიც ორიენტირებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების ცნობადობის ამაღლებასა და დანერგვაზე ქართულ და ჩინურ უნივერსიტეტებში.

საერთაშორისო კონფერენციები: 1

1. 6-8 ივნისს ჩატარდა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“

მემორანდუმები (6 ახალი მემორანდუმი):

1. ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი.
2. ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი (სამართლის ფაკულტეტებს შორის).
3. რომა ტრეს უნივერსიტეტი.
4. ლუბლინის იოანე პავლე მეორის კათოლიკური უნივერსიტეტი (სამართლის ფაკულტეტებს შორის).
5. კარდინალ სტეფან ვიშინსკის უნივერსიტეტი.
6. უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტი (განახლდა).



სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

2016-2017 სასწავლო წლის დასაწყისად, აკადემიური კალენდრით განისაზღვრა 12 სექტემბერი. სწავლის დაწყებამდე სტუდენტებმა გაიარეს აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რის შემდეგაც სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში აიტვირთა სალექციო-სასემინარო ცხრილი.

საბაკალავრო საფეხურზე ჩაირიცხა 234 სტუდენტი, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე 58 სტუდენტი.

2016-2017 სასწავლო წელს შიდა მობილობის ისარგებლა და პროგრამა შეიცვალა 15 სტუდენტმა, ხოლო გარე მობილობით გადმოვიდა 22 სტუდენტი.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა საფინანსო სამსახურს მიაწოდა მიმდინარე სემესტრში დამატებით კრედიტზე რეგისტრირებულ სტუდენტთა სახელობითი სია, გადასახდელი კრედიტების რაოდენობის მითითებით.

ელექტრონულ ჟურნალში გატარდა სტუდენტებთან დადებული განათლების მომსახურების ხელშეკრულებები, ჟურნალი დაიხურა და აიკინმა 2016 წლის 18 ოქტომბერს, 64 ფურცლად.

დაიგეგმა და განხორციელდა აკადემიური კალენდრით განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი გამოცდები.

შუალედური გამოცდები დაიწყო 31 ოქტომბერს და დასრულდა 12 ნოემბერს. ჩატარდა, როგორც ზეპირი ფორმით, რომელსაც ორგანიზება გაუწიეს ლექტორებმა და ასევე წერით, რომელიც ჩატარა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა.

აკადემიური კალენდრით პრეზენტაციების კვირად განისაზღვრა 26 დეკემბერი-31 დეკემბერი.

დასკვნითი გამოცდები დაიწყო 9 იანვარს და დასრულდა 21 იანვარს.

2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრი დასრულდა 4 თებერვალს.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა სემესტრის დასრულების შემდეგ დახურა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა, დაარქივდა და დაიბეჭდა მიმდინარე სემესტრის უწყისები, გაკეთდა რეიტინგული სია. მომდევნო სემესტრისთვის მომზადდა



ელექტრონული ბაზა, გააქტიურდა საგაზაფხულო სემესტრში შესათავაზებელი სასწავლო კურსები, შედგა ლექცია-სემინარების ცხრილი, რომელიც აიტვირთა ბაზაში, ჩაირთო არჩევითობა საგნებზე რეგისტრაციისთვის.

2016-2017 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრი დაიწყო 20 თებერვალს, სამართლის საბაკალავრო-სამაგისტრო, თეოლოგიის საბაკალავრო-სამაგისტრო, საერთაშორისო ურთიერთობების, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

საშემოდგომო სემესტრის მსგავსად საფინანსო სამსახურს მიეწოდა დამატებითი კრედიტებზე რეგისტრირებულ სტუდენტთა სახელობითი სია.

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა შემოსული განცხადებების საფუძველზე გასცა ცნობები, როგორც სტუდენტის სტატუსის შესახებ ასევე ფორმა 26. ცნობები გაიგზავნა მოთხოვნის შესაბამისად.

აკადემიური კალენდრით 2016-2017 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის შუალედური გამოცდები მიმდინარეობდა 10 აპრილიდან - 22 აპრილის ჩათვლით. წერითი გამოცდები ჩატარდა 60 საგანში ხოლო, რაც შეეხება ზეპირ გამოცდებს 35 საგანში. დასკვნითი გამოცდები დაიწყო 19 ივნისს და გაგრძელდა 1 ივლისის ჩათვლით, დამატებითი დასკვნითიგამოცდები ჩატარდა 5 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით.

დასკვნითი გამოცდები ზეპირი ფორმით ჩატარდა 40 საგანში, ხოლო წერითი ფორმით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ 55 საგანში. რაც შეეხება დამატებით დასკვნით გამოცდებს ჯამში ჩატარდა 60 საგანში (51 წერითი - 9 ზეპირი).

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ გაკეთდა სტატისტიკა, ზეპირი და წერითი გამოცდების შედარების თვალსაზრისით. პირველად ზეპირი გამოცდები ჩატარდა 2016 წლის საშემოდგომო სემესტრიდან. შედეგების და დასწრების თვალსაზრისით ზეპირი გამოცდები პირველ და მეორე სემეტრში მკვეთრად განსხვავებულია. პირველად ჩატარებულ ზეპირ გამოცდებზე დამსწრეთა რაოდენობაც დაბალი იყო და შედეგებიც, რაც მკვეთრად გაუმჯობესდა მომდევნო სემეტრისთვის.

2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის უწყისების რეგისტრაციის ჟურნალი დაიხურა და აიკინბა 2017 წლის 3 მარტს 13 ფურცლად, ხოლო საგაზაფხულო სემესტრის 25 ივნისს 13 ფურცლად.



2016-2017 სასწავლო წელს სწავლა დაასრულა და კვალიფიკაცია მიენიჭა 155 სტუდენტს აქედან:

- სამართლის ბაკალავრი - 57 სტუდენტი
- სამართლის მაგისტრი - 17 სტუდენტი
- თეოლოგიის ბაკალავრი -13 სტუდენტი
- თეოლოგიის მაგისტრი- 2 სტუდენტი
- ტურიზმის ბაკალავრი - 45 სტუდენტი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი -21 სტუდენტი.

2016-2017 წლის სასწავლო წელი დასრულდა 15 ივლისს



ბიბლიოთეკა

2016-2017 სასწავლო წელს, ბიბლიოთეკაში გაწევრიანდა 262 მკითხველი.

2017 წლის ივლისის თვეში განხორციელდა რეინვენტარიზაცია, პროცესი გულისხმობს:

- ხდება ჩავარდნილი ნომრების შევსება;
- დამთავრებული სტუდენტების გაცხრილვა მკითხველთა სიიდან;
- დარჩენილი მკითხველის ახალი ნომრების მინიჭება (ნომერი იცვლება სარეგისტრაციო ჟურნალში, მკიხელის ბარათზე, ბიბლიოთეკის ბაზაში).

დღეისათვის ახალი რეგისტრაციით უკვე ფიქსირდება 571 მკითხველი, რომელსაც, რეგისტრაციის დასრულებისათვის დაემატება თითქმის იგივე რაოდენობა მკითხველები. ჯამში ეს კი იქნება დაახლოებით 1050 მკითხველი (სტუდენტი, ლექტორი, თანამშრომელი).

აქვე აღსანიშნავია, რომ მკითხველის ბარათის ფორმა, რომელიც იყო მოძველებული სტანდარტული სახის, შევცვალეთ, დავიტანეთ მასზე საბაუნის ლოგო და წიგნის გაცემის ვადების უკეთ კონტროლისათვის დავუმატეთ ერთი ველი.

გარდა მკითხველის ბარათისა, შევიმუშავეთ წიგნისა თუ სხვა მკითხველისათვის საჭირო დოკუმენტის გამოსაწერი ფორმა, რომელიც დაგვეხმარება ფონდის ხარვეზების გამოსწორებაში და მომსახურების სტატისტიკის დაზუსტებაში.

ასევე მოგახსენებთ, რომ 2016-2017 სასწავლო წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა სულ :

- წიგნი - 463 ცალი. მათ შორის 43 ცალი უცხოენოვანი (აქედან 14 ცალი ამაზონიდან გამოწერილი).
- რიდერი - 16 ცალი
- ჟურნალი - 56 ცალი
- CD/DVD – 14 ცალი (102 ჩანაწერი)

2017 წლის 12 აპრილს საბაუნის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტრენინგი EBSCO-ს ბაზების მოხმარების შესახებ, რომელიც ჩაატარა EBSCO-ს ბაზების პრადის ოფისის წარმომადგენელმა ირინა კრეჟკაროვამ. მსგავსი ტრენინგის ჩატარებას ბიბლიოთეკა



გეგმავს 2017 წლის ოქტომბრისთვისაც. ზუსტი თარიღი დამოკიდებულია EBSCO-ს წარმომადგენლის ვიზიტზე საქართველოში.



იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახურის/იურისტის ძირითადი სამუშაო დატვირთვა მოიცავს, რექტორის აქტების (სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა, აკადემიური შვებულება, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა, მივლინება, აკადემიური თანამდებობის დაკავება, დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ ბრძანებები და სხვ.), ხელშეკრულებების, მემორანდუმების შემუშავებას, დისციპლინური კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღებას.

2016-2017 სასწავლო წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

№	შემუშავდა	ცვლილებები შევიდა
1		სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება
2	„რელიგიის კვლევის ცენტრის“ შექმნის აქტი	
3		ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების აქტი
4	ღონისძიების ჩატარების წესი	
5		ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების აქტი
6	კრედიტების აღიარების წესი	
7	დისციპლინური კომისიის სხდომის ოქმების შედგენა, ბრძანებების მომზადება (2 ოქმი/ბრძანება)	





საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრების ციკლი რეგიონებში, სადაც ჩატარდა თამაში რა, სად, როდის.

მოეწყო სტუდენტების გამამხნეველი თამაშები, ასევე პროექტი შიმშილის თამაშები, გაკეთდა ჩანართი ნაეკის ცნობარში და მის ოფიციალურ საიტზე. უშუალოდ მიმდინარეობდა ღონისძიებების მედია მხარდაჭერა, სხვადასხვა მარკეტინგული მასალების დამზადება და გავრცელება. აბიტურიენტების გამოცდების დღეს გაკეთდა პრომო აქცია შენჩააბარებ.

სამსახურმა ორგანიზება გაუწია უნივერსიტეტის ისტორიაში ყველაზე დიდგამოსაშვებ საღამოს. ასევე დაიგეგმა და განხორციელდა პირველკურსელების წვეულება. უნივერსიტეტის შესახებ განთავსდა სტატიები სხვადასხვა მედია საშუალებებზე: მათშორის მარკეტერზე.

2016-2017 წლის ძირითადი ღონისძიებები:

6 სასკოლოპრეზენტაციადაინტელექტუალური თამაში 'საბა'
ფლაერების, კალმებისა და საინფორმაციო ბლოკნოტების გავრცელება მოსამზადებელ ცენტრებსა და სკოლებში
პროექტი: რატომსაბაუნი?
პროექტიშიმშილისთამაშები
სტუდენტების #ბოლოდღე
პირველკურსელებისწვეულება
გამოსაშვებისაღამო 2017
#საბაუნისსტუდენტები
მოსწავლეთააკდემიისმედიამხარდაჭერა